გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს!

ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№5(97)

მაისი
2022 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

საქართველოს ევროპული არჩევანი არის უალტერნატივო გადაწყვეტილება

2

დავით ახლოურს ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭა

8

მშვიდობით, ჩვენო თამუნა!

11

მობილური იუსტიციის სახლი უკვე მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობასაც მოემსახურება

9

12 მაისს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღეს აღნიშნავს

11

ახალდაბის საჯარო სკოლის მოსწავლეები ფრეზეთის დევნილთა დასახლებიდან თბილისში მიიწვიეს

12

26 მაისის თემა: „ევროპისაკენ!“

„ევროპის გზაზე ისტორიული შესაძლებლობა გაჩნდა. ეს გზა ევროპისკენ არ გახსნილა უსისხლოდ და მსხვერპლის გარეშე. ჩვენმა წინაპრებმა ეს გზა გაკაფეს! ჩვენი საუკუნოვანი მისწრაფება ეფუძნებოდა იმ შეგნებას, რომ საერთო ფასეულობები გვაერთიანებდა და გვაკავშირებდა ევროპულ ცივილიზაციასთან და მაშინ, როცა ქართულ რწმენას, იდენტობას და ფასეულობებს ვიცავდით, რიგი დამპყრობელი იმპერიებისგან, ამ დროს ჩვენ ევროპასაც ვიცავდით“.

სალომე ზურაბიშვილი
საქართველოს პრეზიდენტი
26 მაისი. 2022 წელი. თბილისი

3

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი წეროვანში

საქართველოს ევროპული არჩევანი არის უალტერნატივო გადაწყვეტილება

10 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს კარლ ჰარცელს ევროკომისიის კითხვარის მეორე ნაწილი გადასცა, რომელიც ქვეყანამ განსაზღვრულ ვადაზე ადრე შეავსო.

"სიამოვნებით წარმოგიდგენთ კითხვარის პასუხებს. შევსება დავასრულეთ, ჯამში 7 წიგნი გამოვიდა და სიამოვნებით გადმოგცემთ მათ. მოუთმენლად ველით ევროკომისიისა და წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილების გაგებას", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ელჩმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ კითხვარი ძალიან დაეხმარება ევროკომისიას შეფასების გაკეთებაში.

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, მადლობელი ვარ, რომ აქ ვიმყოფები და ვიღებ თქვენი და მრავალი სხვა ადამიანის დიდი შრომის შედეგს, რაც კითხვარის მეორე და დასკვნით პროცესში განხორციელდა. ეს ძალიან დაეხმარება ევროკომისიას შედეგის განსაზღვრაში", - განაცხადა კარლ ჰარცელმა.

როგორც ცნობილია, ევროკომისიის კითხვარის მეორე, სექტორული ნაწილი 33 თავს აერთიანებს, მოიცავს 2300-მდე კითხვას ყველა სექტორული მიმართულებით და მისი მიწოდების თარიღად ევროკავშირის მიერ 13 მაისი იყო განსაზღვრული. კითხვარის მოცულობითი ნაწილის ეფექტურად და მაქსიმალურად მოკლე დროში შევსების მიზნით, ჩართული იყო ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება, პროცესს კი მთავრობის მეთაური პირადად აკონტროლებდა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, საქართველოს ევროპული არჩევანი არის უალტერნატივო გადაწყვეტილება და ეს არა მხოლოდ მთავრობის, არამედ ქართველი ხალხის არჩევანია.

კითხვარის პირველი შევსებული ნაწილი საქართველოს მთავრობის მეთაურმა ევროკავშირის ელჩს 2 მაისს, მთავრობის ადმინისტრაციაში გადასცა. კითხვარის მეორე ნაწილის გადაცემის შემდგომ, ევროკომისია დაიწყებს საკუთარი შეფასების ანგარიშის მომზადებას, რომელიც ევროკავშირის საბჭოს გადაეცემა და საბჭო შესაბამის გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, ივნისის ბოლოს მიიღებს.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279

***

17-18 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა, რომლის ფარგლებშიც მან ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტების ხელმძღვანელ პირებთან მაღალი დონის შეხვედრები გამართა.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შეხვდა, რომლის ფარგლებშიც მთავარ განსახილველ საკითხს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის საქართველოს მიერ გაკეთებული განაცხადი და ქვეყნისათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება წარმოადგენდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბრიუსელში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ნატო-ს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს მის საცხოვრებელ რეზიდენციაში შეხვდა.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებას, რაც ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

შეხვედრებზე მხარეებმა ვრცლად ისაუბრეს საქართველოს განაცხადის განხილვის პროცესზე, მათ შორის, საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულებისა და დემოკრატიული რეფორმების განხორციელების კუთხით მიღწეულ პროგრესზე. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა საქართველოს ისტორიული არჩევანი, დაუბრუნდეს ევროპულ ოჯახს და ამ კონტექსტში ხაზი გაუსვა ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე ევროკომისიის მოსაზრებისა და ევროპული საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მნიშვნელობას.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემო, მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება. პრემიერმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს მთავრობისა და ხალხის სოლიდარობა და ურყევი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ. მისი თქმით, ყველასთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ომის დამთავრებას უკრაინაში და რომ ომის შედეგები განსაზღვრავს მომავალ დღეებს, როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ასევე საქართველოსთვის.

26 მაისის თემა: „ევროპისაკენ!“

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – საქართველოს ეროვნული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ყოველწლიურად, ნიშნად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა რუსეთის იმპერიისგან და სსრკ–სგან. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ–სგან დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა, ეროვნულ დღესასწაულად მაინც 1918 წლის 26 მაისი – პირველი რესპუბლიკის მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის დღე – აღინიშნება.

ნოე ჟორდანია – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი, თეორეტიკოსი, პუბლიცისტი, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი



დილიდანვე საზეიმო განწყობამ, მუსიკის ხმამ და მოსწავლე-ახალგაზრდობის ჟრიამულმა ამაღლებული და კიდევ უფრო დიადი გახადა ქართველებისათვის უპირველესი დღესასწაული – 26 მაისი – ჩვენი პატარა, მაგრამ უძველესი კულტურისა და მეცნიერების, ხელოვნებისა თუ დამწერლობის პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე.

ამ საზეიმო განწყობამ ფიქრის სიღრმეებში წამიყვანა... თაობების სიცოცხლე და თავგანწირვა დასჭირდა, ეს დიდებული და სანატრელი დღე რომ დამდგარიყო და გვეზეიმა...

მე არ ვიცნობდი, არასოდეს მინახავს საქართველოს პირველი თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელმძღვანელები, არ დამინახია მათი გაცისკროვნებული, მტკიცე, შეუპოვარი გამომეტყველება, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

არ ვიცი, როგორ კითხულობდნენ ამ ისტორიულ მასალას, როგორ საუბრობდნენ, როგორ და რაზე ფიქრობდენ, რა და როგორ უხაროდათ, რას დარდობდნენ, თუმცა მათთან სიახლოვეს (საუკუნეზე მეტი გავიდა) პირადი ნაცნობობა რად უნდა? გადაიკითხე მათი სამშობლოსთვის წამებული ცხოვრება, ბიოგრაფია, დახედე მათ ფოტოებს, მათ ღრმად ფიქრიან თვალებს თვალი არ მოაშორო, და ისეთი განცდა დაგეუფლება, რომ ქვეყნისთვის თავდადება და ქვეყნისთვის თავგანწირვა ხელეწიფებოდათ მხოლოდ... მტარვალმა ბოლშევიკებმა ვერ გატეხეს, ვერ დააჩოქეს... ამიტომ ვერ წაშალა უამრავმა ქარტეხილმა, წვიმამ და თქეშმა უცხო მიწაზე, შორეული ლევილის სასაფალოზე უკვდავებად ქცეული სტრიქონები: „თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, დე, მტვრად ქცეული მე მენახოს მთელი სამყარო...“

ეს სტრიქონები თითქოს მხოლოდ ჩვენ, ქართველებს, გვანდობს გულის კაეშანს...

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო ზვიადგამსახურდიამ დაკარგული დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების პროცესი, რომელიც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით დააგვირგვინა... ამ ოცდაათწლიან ისტორიულ ლაბირინთებში, როცა ბევრჯერ იდგა საქართველო ვულკანზე, შინაური თუ გარეული მტერი ჩუმჩუმად ლესავდა ხმალს... ეს ჩემს თაობას ძალიან კარგად, გუშინდელივით ახსოვს...

სამწუხაროდ, რუსთაველზე ქართველმა ქართველის სისხლი დაღვარა... მხოლოდ გამსახურდია კი არ დაამარცხეს და დაამხეს მაშინ დემოკრატიის სახელს ამოფარებულმა ავაზაკებმა – კიტოვან-იოსელიან-სიგუას ბანდებმა, საქართველო დაამარცხეს და დაამხეს, რის შემდეგაც ქვეყანა წელში ვერა და ვერ გაიმართა.

მე ვიცნობდი, მინახავს, რამდენჯერმე შევხვედრივარ ზვიად გამსახურდიას... 30 წელი გავიდა და მე დღესაც მჯერა, რომ მისი საქმე, თავდადება საქართველოსთვის მის სულში განიბანა და დაკრისტალდა. სწორედ კრისტალურმა სიყვარულმა თავისი ერისა შეაძლებინა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება... მე მინახავს მაშინდელი – ათეიზმს გამორიდებული, ეკლესიისაკენ მიმავალი, ერთ მუშტად შეკრული საქართველო...

ქართველს მხოლოდ ქართველი ამარცხებსო, – შენიშნა საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაჰ-აბასმა და სწორედ რჯულგაყიდულმა ქართველებმა, სხვადასხვა პარტიულ მიზნებს ამოფარებულებმა, სხვადასხვა დროს ძიძგნეს და წიწკნეს მამული....

მე არ ვიცნობ ირაკლი ღარიბაშვილს, მაგრამ როდესაც ვუსმენ, ვგრძნობ: თხემით ტერფამდე ქართველია და არც არასოდეს დაუმალავს, რომ მისი „უფროსი“ ქართველი ხალხია... იმედით ვივსები... მისი ბრძნული

გაგრძელება მე–4 გვერდზე

26 მაისის თემა: „ევროპისაკენ!“

მე–3 გვერდიდან

პოლიტიკის გამოა, ომში ჩათრევის მსურველებმა (ვაიქართველებმა) რომ ვერ აჯობეს... ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სულ ქაოსში რომ არიან, ეს დასავლური კურსიდან გადახვევად ჩაუთვალეს და „განგაშის ზარები შემოჰკრეს“.’’

26 მაისია, – ულამაზესი დღესასწაული... ულამაზეს გოგონებსა და ვაჟებს ვუყურებ დღეს წეროვნის დევნილთა დასახლებაში და გული სიამაყით მევსება. რა ლამაზები არიან... როგორ შვენით ეროვნული სამოსი, რა ლამაზად ცეკვავენ, მღერიან... ჩვენს ახალგორში კი ქსანი, ჩვენი ვერცხლურა ტალღებიანი ქსანი მობუბუნებს თურმე, ამღვრეულა, ადიდებულა, კალაპოტიდან გადმოსული, ამღვრეულ ტალღებს მოახეთქებს და ვინ იცის,’„რას ბუტუბუტებს“, „მრავალ დროების მოწამე“...

მისგან მოშორებით ვზეიმობთ, იმ იმედით, რომ დავბრუნდებით ქსნის ხეობაში და მომავალ დღესასწაულებს იქ მოვაწყობთ...

სცენაზეა ახალგორის „სავიზიტო ბარათი“, ფოლკლორული ანსამბლი „ლომისი“ – შალვა ილურიძე, ალიკა ჯარმელიშვილი, გურამ გათენაშვილი, გია ფსუტური, ანზორ ზანგურაშვილი...

ვუყურებ თმაშევერცხლილებს, ომახიანად რომ მღერიან, მართლაც ლომისის მადლი რომ დაჰფენიათ... მათი სიმღერებით გაიზარდნენ თაობები ახალგორში... ხალხური სიმღერა, თანაც „ლომისელების“ ბულბულა ხმებით შესრულებული ხომ ძალიან მშობლიურია, თბილი, საყვარელი, ახლობელი...

ანსამბლის ერთი ულამაზესი ხმის პატრონი, ასევე ნიჭიერი მხატვარი ვალერიან გათენაშვილი მობუბუნე ქსნის პირზე დგას ალბათ დაფიქრებული...

და უნებურად მახსენდება ერთი სევდიანი სიმღერა:’„ნეტავ სად მიდიან სიყრმის მეგობრები“... თითქოს ისევ სცენაზე ვხედავ ნუგზარ ფსუტურს, ალექსანდრე ჯავახიშვილს... ნათელი დაადგეთ იმიერ ქვეყანაში...

ახალგორელებს გვახსოვს „ლომისის“ მთელი შემადგენლობა, მათი წარმატებები და გულს უხარია, შალვა ილურიძე წლების მანძილზე რომ ინარჩუნებს, და ახალ-ახალი სიმღერებით ახარებს მსმენელს...

საზეიმო კონცერტი არაჩეულებრივად მიჰყავთ წეროვნის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეს თათული ოდიშვილს და ამავე სკოლის კურსდამთავრებულს მერაბ გელაშვილს, აბიტურიენტის განცდებს რომ მალავს...

გულს უხარია, ახალგორელები ნიჭიერი, ხელოვნების მოყვარული, შრომისმოყვარენი რომ არიან, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ამ საზიმო დღეს...

„ლომისს“ ნუგზარ ფსუტურის სახელობის კულტურის სახლთან არსებული ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ახალი თაობა“ ცვლის სცენაზე. ანსამბლს მაღალი დონის პროფესიონალი, მრავალი საპატიო ჯილდოს მფლობელი, თავისი საქმის დიდოსტატი, მუსიკოსი თამაზ დურგლიშვილი ხელმძღვანელობს...

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ ახალგორის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი. მათ თავიანთ გამოსვლაში შეკრებილ საზოგადოებას მიულოცეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და აღნიშნეს, რომ მთავრობის და ხელისუფლების პრიორტეტი, გამოხატავენ რა ერის და ჩვენი ხალხის ინტერესებს, ევროპულ ოჯახში დაბრუნებაა ჩვენი ისტორიული ღირებულებებით, ფასეულობებით, მენტალობით. შესაბამისად, წლევანდელი 26 მაისის თემა არის „ევროპისაკენ“.

ახალი თაობის მოსწავლე-ახალგაზრდებმა არაჩეულებრივად შეასრულეს სხვადასხვა ქართული კლასიკური ნაწარმოებები ხალხურ საკრავებზე...

ზეიმია სცენაზე და ზეიმია პარკში, სადაც მაყურებელს და მსმენელს მხიარული, ხალისიანი განწყობა აქვს... განსაკუთრებით გახარებულები არიან მშობლები, ვისი შვილებიც სცენაზე ხან ცეცხლს ანთებენ, ხან სინაზეს აფრქვევენ.

მაყურებელი აპლოდისმენტებს არ იშურებს ვასილ ქავთარაძის სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ქორული“ მიმართ. ანსამბლს ხელმძღვანელობენ გიორგი ზარიძე და ხატია თინიკაშვილი. „ქორულის“’წევრები, ქართული აღმატებული ხელოვნების – ხალხური ცეკვის თანაზიარნი, დიდებულად გადმოსცემენ ცეკვის შინაარსს ლამაზი ილეთების სწორი, ხალისიანი შესრულებით...

ბექა ხელაშვილის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ქსნის ხეობის“ მოცეკვავეებმა დიდი სიამოვნება მიანიჭეს მაყურებელს და გულწრფელი ოვაციებიც დაიმსახურეს.

მათ „წეროები“ ცვლიან... ჩვენი სახელოვანი „წეროები“ მრავალჯერ რომ გაუთქვეს სახელი ახალგორს თავიანთი ხელოვნებით. ხელმძღვანელი გიორგი მჭედლიშვილი.

სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდიაში„წეროები“ რამდენიმე თაობის მოცეკვავეები არიან, ერთმანეთზე უკეთესები...

დღესასწაულზე განსაკუთრებული აპლოდისმენტები დაიმსახურა ვახტანგ ციმაკურიძის სახელობის ბავშვ-

გაგრძელება მე–6 გვერდზე

დრო ყველაზე მართალი მსაჯულია

მოსწავლეობის დროს, ჩემი თაობის გოგონები ხშირად გვთხოვდნენ „საუნჯის“ შევსებას. უნდა გვეპასუხა კითხვებზე: ვინ იყო ჩვენი საყვარელი მწერალი, რომელ მუსიკას ვუსმენდით, რაზე ვოცნებობდით... ასეთი კითხვაც იყო: „ჩემი იდეალი...“ კარგად მახსოვს პასუხი. მახსოვს, რადგან აზრი არც არასოდეს შემიცვლია - ზვიად გამსახურდია...

არადა, ჯერ კიდევ „ეცოდებოდათ” კონსტანტინე, რომ მის ოჯახში ასეთი „მოღალატე” შვილი აღიზარდა...

მერე იყო ერთიანი ეროვნული მოძრაობის აღმავლობა. ზვიადი თითქმის მთელი ერის იდეალად იქცა.

აღზევებას გარდაუვალი გოლგოთა და პირველი პრეზიდენტის ტრაგიკული აღსასრული მოსდევდა თურმე. ისევ დაიწყო ამ ღვთისკაცის ძაგება. ისევ სცადეს მისგან ქართველი ერის მტრის ხატის შექმნა. ვერც ამჯერად შეძლეს.

დრო ხომ ყველაზე ულმობელი და მართალი მსაჯულია...

და მაინც, რატომ ებრძოდნენ ასე გამალებით? პასუხი ერთია - მასში ღვთის ნება ვერ აიტანეს, ღვთის ნება - გამოეხსნა საქართველო იმპერიალიზმის მარწუხებისგან. შურდათ კიდეც იმ სიყვარულის, რა სიყვარულითაც საქართველოს უყვარდა თავისი ღირსეული შვილი.

ბოლოს სიკვდილიც შეშურდათ, თუმცა ამის მოსწრაფენი იყვნენ დღენიადაგ. დასაფლავებაც შეშურდათ. ხალხის ასეთი თაყვანისცემა ხომ მათ არ ეღირსებოდათ არასოდეს.

მჯერა, ვისაც ზვიადი უყვარს, საქართველოს ღალატს გულში არასოდეს გაივლებს.

ისიც მჯერა, რომ უფალი არ გაგვწირავს და ყოველი განსაცდელის ჟამს ერის წიაღიდან უხმობს გმირს, რომელიც უკუნი წყვდიადიდან მზის სინათლეს დაგვანახებს.

ასე უხმო მეცხრამეტე საუკუნეში ილიას,
მეოცეში - ზვიადს და მერაბს...

რა ვუყოთ, რომ ტრაგიკულად დასრულდა მათი ცხოვრების გზა, საქართველო ხომ გადარჩა. საქართველო ხომ ვერ მოკლეს!

ვერც მოკლავენ, რადგან ,,ქართველი ერის გზა - ქრისტეს გზაა, ეკლიანი გზა ჯვარცმისა და გარდუვალი აღდგომისა”...

დავით ახლოური
26 მაისი. 2022 წელი

26 მაისის თემა: „ევროპისაკენ!“

მე–5 გვერდიდან

თა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი მაია ქურტაული, ქორეოგრაფი კახაბერ მარკოიშვილი).

ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „ივერია“’15 წლისაა და სწორედ ამ საიუბილეო წელს, ამ დღეებში მიენიჭა „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“’წოდება. როგორც მაია ქურთაულმა გვითხრა, „ანსამბლის წარმატებები დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ქორეოგრაფის სისტემატურ, პროფესიონალური მეცადინეობების და რეპეტიციების ჩატარებაზე, არამედ თითოეული მოცეკვავის მონ-

ფესიულ დონეზე წარვმართავთ მუშობას, ვეცდებით, რაც შეიძლება ბევრმა მოზარდმა ისწავლოს ცეკვა და არა მარტო ცეკვა. დაეუფლოს ქართულ უმნიშვნელოვანეს ხელოვნებას ქორეოგრაფიას, რომელიც ასახავს და ნათლად გადმოსცემს ქართველის ბუნებას, ხასიათს, ცეკვით გამოხატავს სინაზესაც და სიძლიერესაც, კდემამოსილებასაც და ცეცხლოვან მოქმედებასაც“.

მხატვრული კითხვის ოსტატებმა: კესო ოსეფაიშვილმა, თათული ოდიშვილმა, ნუცა ზანგურაშვილმა, ანა-

დომებასა და ამ ულამაზესი ხელოვნების სიყვარულზე. მე გულწრფელად ვულოცავ თითოეულ მათგანს ამ საპატიო წოდების მონიჭებას, მათ მშობლებს, რომლებიც ყოველთვის გვერდით გვიდგანან, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს თამაზ ბალაშვილსა და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელს ნუგზარ თინიკაშვილს ჩვენს მიმართ კეთილი დამოკიდებულებიასთვის, აგრეთვე საქართველოს ქორეოგრაფიულ კავშირს. ანსამბლმა უკვე რამდენიმე თაობა აღზარდა და კვლავაც ხალისიანად და პრო-

ნო კახნიაშვილმა ქართული პოეზიის მარგალიტებიც შეახსენეს შეკრებილ საზოგადოებას. 26 მაისისადმი მიძღვნილ ზეიმს შარავანდედად დაადგა მგალობელ გოგონათა გუნდის ჰაეროვანი, „ანგელოზთა გალობის“ სადარი საგალობლები....

მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობს დოდო კახნიაშვილი, რომელიც საეკლესიო მართლმადიდებლურ ხელოვნებას, ქართული საგალობლების სიდიადესა და სილამაზეს აზიარებს პროფესიულ დონეზე.

წეროვნის დევნილთა დასახლებაში ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა ამღერდა და მუსიკისა და სიმღერის სწავლა შეძლო, ვინც ახალგორის სამუსიკო სკოლის მასწავლებლების, მაია ქურთაულის და შალვა ილურიძის, რომ იტყვიან, ხელში გაიარა. ამიტომ შეხვდნენ აპლოდისმენტებით მათ გამოსვლას ნამოწაფრები, კოლეგები....

აღსანიშნავი და ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ორ წლიანი კორონობის „ჟამიანობას“, მოძმე უკრაინელი ხალხის ტკივილს, აუცილებლად სჭირდება ასეთი გამოწვევა... საზოგადოების გაერთიანება არა სევდიანი არგუმენტებით, არამედ ხალისიანი განწყობით.

ამ ულამაზეს ღონისძიებას ორგანიზება გაუკეთა ახალგორის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა (ხელმძღვანელი ნუგზარ ფსუტური). მის მომზადებაში აქტიურად ჩაერთო ახალგორის კულტურის ცენტრი, ბიბლიოთეკა, პერსონალურად ქალბატონი ესმა ქენქაძე.

არიან მუსიკოსები, პროფესიონალები, პედაგოგები, რომლებიც მხოლოდ თავიანთი პირადი წარმატებით კი არ არიან დაკავებულნი, არამედ ეპოქას ქმნიან იმ საზოგადოებისაგან, სადაც იმყოფებიან, მუშაობენ, მოღვაწეობენ. ახალგორის სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა (ხელმძღვანელი მარინა ხრიკული) თაობები აზიარეს როგორც კლასიკური, ასევე ხალხური და ფოლკლორული მუსიკის ჯადოსნურ სამყაროს, თამაზ დურგლიშვილმა სულ რამდენიმე წელიწადში უამრავ ბავშვს ასწავლა ხალხურ საკრავებზე დაკვრა, გიორგი მჭედლიშვილის „წეროებმა“ სატელევიზიო სივრცეშიც გვასახელეს... ასეა, სადაც შრომას, გულისხმიერებას გამოიჩენ, შედეგი სახეზეა...

კონცერტი დამთავრდა, მაგრამ შეკრებილი საზოგადოება არ იშლებოდა, განაგრძობდა ერთმანეთის მილოცვა-მოკითხვას, საუბარს, ბავშვები მხიარულობდნენ...

ნურც მოუშალოს ახალგორელებს საზეიმო და მოსალხენი...

დავით ახლოურს ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭა

„დღეს, როცა მწუხრის ჟამი უდგას სამყაროს, როცა ცრემლი გულში ვეღარ ეტევა და ყელში გებჯინება, რთულია, რამემ გაგახაროს...“ – წერს დავით ახლოური, ახლახან, როცა საქართველოს ჟურნალისთა კავშირმა ივანე მაჩაბლის პრემია მაინიჭა...

ახალგორის მუნიციპალიტეტი და მისი პოეზიის და პუბლიცისტური წერილების მკითხველები ვულოცავთ ამ დიდი ერისკაცის სახელობის პრემიის მინიჭებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

გიგო პაპა

ქარჩოხის ხეობის სოფელ ბალაანის მაშინდელ რვაწლიან სკოლაში 1961-1980 წლებში მოღვაწეობდა ლეგენდარული დირექტორი ნასყიდა ბერიანიძე, მე არ ვიცნობდი ამ კაცს, არც ის ვიცოდი, რომ იგი ჩემი არცთუ ისე შორეული ნათესავი იყო, მაგრამ ქსნის ხეობელებისგან მასზე ბევრჯერ მომისმენია თბილი სიტყვები. იგი ჩემს თვალში კიდევ უფრო ამაღლდა, როცა მის ჩანაწერებს გავეცანი. „შრომა, სიმართლე, სინდისი” - ასე ჰქვია წიგნს, სადაც ავტორი განვლილ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობს. წიგნში შემთხვევით „გადავაწყდი” ერთ მონაკვეთს, სადაც საუბარია ჩემს დიდ წინაპარზე - გიგო ახლოურზე, რომელიც პაპაჩემის - გიორგი ახლოურის მამა იყო... ეს არაა მხოლოდ კონკრეტული პიროვნების პორტრეტი, ესაა მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ქსნის ხეობის ისტორიის ერთი ნათელი სურათი, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე თქვენთვისაც შემომეთავაზებინა.

„ერთხელ მე და დედა წავედით ახლოურთას. იმ სოფელში დედაჩემს ბიძა ჰყავდა - ახლოური გიგო. როგორც დედასაგან გამიგია, გიგო პაპა შეძლებულად ცხოვრობდა შედარებით და აი, მას მივადექით ცოტაოდენი ფქვილის სათხოვნელად. სოფელს რომ მივუახლოვდით, ცოტა ხანს შევისვენეთ, მე ფეხებს ძლივს მივათრევდი, დედა ხშირ-ხშირად მამხნევებდა - ცოტაღა დარჩა და მალე მივალთო. შევატყე, რომ დედაჩემს გზის გაგრძელება და სოფელში შესვლა არ უნდოდა, მუხლები უკანკალებდა, ცუდი ფერი ედო, მე ტირილი მოვრთე. დედამ თავზე ხელი გადამისვა და ცრემლები გადმოსცვივდა. დედის თვალებმა მაგრძნობინა, რომ სცხვენოდა ფქვილის სათხოვნელად მისულიყო დღისით, ხალხის დასანახად, ისიც დაკონკილი კაბითა და ნახევრად ტიტლიკანა შვილით...

ჩვენს იღბალზე ათიოდე წუთის შემდეგ სტვენა და ცხვრების ბღავილი შემოგვესმა - და მალე წყაროსთან თხები მოცვივდნენ, შემდეგ ვეებერთელა ქოფაკიც გაჩნდა, ძალიან ლამაზი ძაღლი იყო და სულ კუდის ქნევით გვიახლოვდებოდა. ენა გადმოეგდო და სიცხისაგან ქაქანებდა. მე მაინც მეშინოდა და თხილის ძირში მივიკუნჭე. დედამ გამამხნევა, ნუ გეშინია, ცხვრის ძაღლი შენ არაფერს დაგიშავებსო. არ გასულა კიდევ რამდენიმე წუთი და გამოჩნდა ჩვენსკენ მომავალი მაღალი, ჯმუხი ბერიკაცი. თავზე თეთრი ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ფამფარა ქუდი ეხურა.

დედამ შორიდან ვერ იცნო გიგო პაპა, მან კი, ცოტა რომ მოგვიახლოვდა, ბოხი ხმით შესძახა: ნინო, შვილო, აქ რას აკეთებ ამ პატარა ბალღით. პაპა გაოცებული გვიცქეროდა, ხან მე მომაპყრობდა თვალებს, ხან - დედაჩემს. დედამ ტირილი დაიწყო, თქმით კი ვერაფერის თქმა მოახერხა. გიგო პაპა თვითონ მიხვდა ყველაფერს. მომეჩვენა, რომ პაპა არაფერს არ გაიმეტებდა ჩვენთვის. თავის შვილებს ხომ არ დააკლებს პურის ლუკმას და ჩვენ მოგვცემს-მეთქი, - ვფიქრობდი ჩემთვის. გული მიცახცახებდა და თან ვნატრობდი: ერთი პური მაინც მოგვცეს, რომ სული მოვითქვათ და უკან დაბრუნება შევძლოთ.

პატარა ხნის შემდეგ საიდანღაც ცხელი პურის სუნი ვიგრძენი, თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი და პირში ნერწყვი მომდიოდა. შიმშილი კიდევ უფრო მომეძალა. სწორედ იმ დროს გიგო პაპას პატარა ბიჭმა გიორგიმ (გიორგი გიგოს ძე ახლოური გახლდათ პოეტის, ისტორიის დოქტორის, პროფესორ დავით გრიგოლის ძე

„ავერსის კლინიკამ“ დევნილებისთვის საქველმოქმედო აქცია გამართა

14 მაისს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში “ავერსის“ კლინიკის გამოცდილმა, მაღალკვალიფიციურმა სხვადასხვა პროფილის ექიმებმა მოსახლეობას უფასო გამოკვლევები ჩაუტარეს, ხოლო ახალგორის პოლიკლინიკაში მიიღო პაციენტები გინეკოლოგმა.

აქციით ასზე მეტმა პაციენტმა ისარგებლა. გამოკვლევების ჩატარებისა და საექიმო კონსულტაციის გარდა, მათ სხვადასხვა დანიშნულების მედიკამენტები გადაეცათ.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლობას უხდის “ავერსის კლინიკის” ექიმებს ყურადღებისა და მხარდაჭერისთვის.

ახლოურის პაპა) მამამისის გვერდით დადგა კალათი, თვითონ კი „ქედანას” ეთამაშებოდა და თან ჩემსკენ აპარებდა თვალს. გიგო პაპამ კალათიდან ახლადგამომცხვარი პურები, ყველის მოზრდილი ნაჭერი და მოხარშული ხორცი ამოიღო. ცოტა რომ მოვნაყრდით და სული მოვითქვით, გიგო პაპამ დედას ყველაფერი გამოკითხა, გიორგი კი შინ გაგზავნა: დედაშენს უთხარი ახლავე აქ ჩამოვიდესო, - დააბარა.

როგორც კი გიგო პაპას მეუღლე ჩვენთან მოვიდა, პაპამ მაშინვე უთხრა: ე გოგო და ბალღი შინ წაიყვანე, კარგად აჭამე პური და რამდენსაც მოერევიან, ფქვილი და გამომცხვარი პური გაატანე, ერთი ყველიც ჩაუდეო.

ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, შიმშილი და დაღლილობა სულ დამავიწყდა, აღმართში მარდად მივყვებოდი დედაჩემს. დატვირთულები დავბრუნდით უკან, ჩვენს სოფელს რომ მივუახლოვდით, მინდორში პატარა გოგო-ბიჭები ხბორებს აძოვებდნენ, როგორც კი დაგვინახეს, წინ შემოგვეგებნენ: თუშიანთ ნიკა, ჯავახიანთ გიორგი, ოქროპირიანთ შაქრია და სხვები. ყველას შიოდა, კალათში ჩაწყობილ პურებს თვალს ვეღარ აშორებდნენ. დედაჩემმა ვეღარ აიტანა მათი საცოდაობა, ამოიღო ერთი პური და თითო ნატეხი ყველას დაურიგა თვალცრემლიანმა.

იმ დროს ყველა სოფელს და ოჯახს მეტნაკლებად უჭირდა. კარგად მახსოვს, ჩვენზე უარესად ბევრი ცხოვრობდა, ზოგი ზამთარ-ზაფხულ მათხოვრობითა და სოფლიდან სოფელში ლუკმა პურის ძებნით ირჩენდა თავს.“

სურათებზე:

1. ნასყიდა ბერიანიძე - ბალაანის რვაწლიანი სკოლის დირექტორი1961-1980 წლებში
2. ნასახლარები სოფელ ახლოურთიდან.

დავით ახლოური

„მობილური იუსტიციის სახლი“ უკვე მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობასაც მოემსახურება

რატი ბრეგაძემ წეროვანში მცხოვრებ მარიამ ჭულუხაძეს შვილის დაბადების მოწმობა პირადად გადასცა

იუსტიციის სამინისტროს წარმატებული პროექტის „მობილური იუსტიციის სახლის“ გეოგრაფიული არეალი გაიზარდა. დღეიდან ის მცხეთა-მთიანეთის 5 სოფელსა და მათ შემოგარენში მდებარე სოფლების 17 000-ზე მეტ მომხმარებელს 470-მდე სერვისს მიაწვდის. წეროვანის დასახლებაში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები მობილური იუსტიციის სახლის მომსახურების მიღებას საცხოვრებელ ადგილას შეძლებენ.

მცხეთა-მთიანეთის ადგილობრივმა მოსახლეობამ იუსტიციის სახლის სერვისები პირადად იუსტიციის მინისტრისაგან მიიღო. რატი ბრეგაძემ წეროვანში მცხოვრებ მარიამ ჭულუხაძეს შვილის დაბადების მოწმობა გადასცა. მინისტრთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ მისი მოადგილეები თამარ ტყეშელაშვილი და ერეკლე ღვინიანიძე, აგრეთვე, სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა- მთიანეთის მხარეში დავით ნოზაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

„მოხარული ვართ, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ, ადგილზე მიიღონ ყველა ის მომსახურება, რასაც იუსტიციის სამინისტრო სთავაზობს მოქალაქეებს“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

„მობილური იუსტიციის სახლი“ იუსტიციის სამინისტროს ინოვაციური პროექტია, რომელიც სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისებს სთავაზობს იმ ათეულობით სოფლის მცხოვრებთ, სადაც საზოგადოებრივი ცენტრები და იუსტიციის სახლები არ ფუნქციონირებს. პროექტი 2021 წლის აგვისტოში ამოქმედდა და დღეისათვის კახეთის, შიდა ქართლის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის, იმერეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს მოიცავს.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღეა

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად 1 ივნისს აღინიშნება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მისი მიზანია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ბავშვთა დასაცავად, ზრუნვა მათი ჯანმრთელობისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის.

1989 წელს გაერთანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ბავშვთა უფლებათა კონვენცია, როემლიც ემყარება 4 ძირითად პრინციპს:

1. სიცოცხლე,
2. განვითარება,
3 დაცვა,
4. მონაწილეობა.

წარსულ საუკუნეებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ბავშვთა მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ძალადობების შემთხვევებს, იზღუდებოდა განათლების შესაძლებლობა.

საბედნიეროდ, დღეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვლილია უკეთესობისაკენ.

ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში ბავშვს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაც კიდევ უფრო გაამყარა 1989 წელს მიღებულმა „ბავშვთა უფლებათა კონვენციამ", რომელმაც სრულად შეცვალა ბავშვების აღქმა და მათთან დამოკიდებულება.

1 ივნისისადმი მიძღვნილ დიდი ღონისძიებაზე, რომელიც მოაწყო საქართველოს ქალთა საბჭომ (პრეზიდენტი ქეთევან გაბრუაშვილი) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქალთა საბჭომ, მიწვეულები იყვნენ ახალდაბის საჯარო სკოლის მოსწავლეები ფრეზეთის დევნილთა დასახლებიდან, ასევე აფხაზეთიდან და უკრაინიდან დევნილი ბავშვები.

ღონისძიება ჩატარდა თბილისის მუშთაიდის პარკში, სადაც ქალთა საბჭოს პრეზიდენტმა, კეთილშობილმა და ბავშვებზე მზრუნველმა ქეთევან გაბრუაშვილმა ქალთა საბჭოს სხვა წევრებთან ერთად ულამაზესი ზეიმი მოაწყო. პატარებმა ჯერ გული იჯერეს სხვადასხვა ატრაქციონებზე, ხალისიანად შეექცნენ მასპინძელთა მორთმეულ ტკბილეულსა და ნუგბარს, შემდეგ გაიმართა კონცერტი, სადაც მონაწილეობდნენ სხვადასხვა საბავშვო ანსამბლები, ინდივიდუალური მომღერლები, მოცეკვავეები. ბავშვების გაცისკროვნებულ სახეებს, ზეიმს დასასრული არ უჩანდა...

შემდეგ პატრებს გადასცეს ძვირფასი საჩუქრები – სათამაშოები, სასწავლო ნივთები, გასართობი თამაშების კომპლექტები...

ფრეზეთიდან ამ ზეიმში მონაწილეობდნენ: ნიკოლოზ ჩიტიშვილი, ნიკოლოზ, ანამარია, გიორგი, ლუკა, ჟანა ბალაშვილები, ნიკოლოზ, მარიამ გოჭაშვილები, ვალერი ბალხამიშვილი, მარიამ გაროზაშვილი, ანანო, ბარბარე ბერიანიძეები, მარიამ პავლიაშვილი, ბარბარე თინიკაშვილი, მარიამ ყველაშვილი, თორნიკე ხინჩაგოვი, ლაშა მიდელაშვილი, მაგდა ილურიძე, აგრეთვე ნიკოლოზ ტატიშვილი წეროვნის დევნილთა დასახლებიდან, რომელმაც უკრაინელ ბავშვებს გადასცა თავისი ნახატები საჩუქრად.

„ბავშვები არიან განსაკუთრებული უფლებების მქონე ადამიანები და არა ქველმოქმედების მხოლოდ პასიური გმირები".

ბავშვთა უფლებების კონვენცია

– ძალიან გახარებულები არიან ბავშვები, – მადლიერების გრძნობით მითხრეს ახალდაბის საჯარო სკოლის პედაგოგებმა (თეა მიდელაშვილი, გიული გაროზაშვილი, შორენა შერმადინი), რომლებიც ბავშვებს ახლდნენ, – ქალბატონმა ქეთევანმა რამდენი რამ გააკეთა ბავშვებისათვის... ეს იყო ზეიმი, უანგარო სითბოთი და სიყვარულით სავსე...

– ჩვენი წამოსვლის ლამაზი ორგანიზება ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნუგზარ თინიკაშვილის პირადი ყურადღების, ზრუნვის შედეგია, რისთვისაც მადლობას ვუხდით თქვენი გაზეთის საშუალებით...

მე გავესაუბრე ახალგორელ ბავშვებს, მათგან ზოგიერთს არც უნახავს ახალგორი, ჩვენი თვალსამოთხე ქსნის ხეობა, მაგრამ აბა, ჰკითხე, სადაური ხარო, – ყველა, – ახალგორიდანო, მპასუხობდნენ...

ჩამოვსხედით კონცერტის დასასრულს და ვისაუბრეთ ასე შინაურულად, ახალგორულად...

რა უნდა გამოხვიდე-მეთქი, ვკითხე კაფანდარა მომღიმარ თამრიკოს.

თურმე მზარეულობა მოსწონს და მოდელობა, – ერთ-ერთს ამოარჩევს. ჩვენც მოდელობა გვინდაო, – არ დამიმალეს მარიამმა, ანიმ და ჟანამ...

მეო, – ნიკოლოზმა, – ისტორიის მასწავლებელი გამოვალო.

– მეც მასწავლებლობა მინდა, მაგრამ სპორტისო, – ლუკამ...

ვალერის ოქროს ხელი ჰქონია – ჩხირკედელაობს და ულამაზეს ნივთებს აკეთებს, – ხეზე კვეთასაც კარგად ვისწავლი და ფერმერიც უნდა გამოვიდეო.

მაგდას სტომატოლოგობა მოსწონს...

დასასრული მე–12 გვერდზე

მუვიდობით, ჩვენო თამუნა!

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი თამარ (თამუნა) გიგაური.

თამუნა დაიბადა და გაიზარდა ახალგორში, დაამთავრა ახალგორის პირველი საშუალო სკოლა წარჩინებით. ბავშვობაში გამოირჩეოდა სიკეთით, თანაკლასელებისადმი სიყვარულით, თანადგომით. სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. ახალგორის მუნიციპალიტეტში მუშაობდა წლების მანძილზე. იყო თავისი საქმის პროფესიონალი, განათლებული, ინტელექტუალური, სიკეთით სავსე, გულისხმიერი და გულმოწყალე, ერთგული მეგობარი და გულმართალი კოლეგა.

მშობლები ეკა ჯიქურაშვილი და ვილიამს გიგაური ახალგორში ცხოვრობდნენ. როგორც კი დროს და შესაძლებლობას მოიპოვებდა, ახალგორში მიდიოდა. ძალიან უყვარდა ახალგორი, უფროსების პატივისმცემელი და მომფრთხილებელი ბრძანდებოდა... გულისგულით უყვარდა ერთადერთი ძმა მიშიკო გიგაური...

დაუჯერებელია, რომ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის კარს აღარ შემოაღებს ეს მშვენიერი ახალგაზრდა ქალბატონი, ყველას მოყვარული, ყველას ლხინისა და ტკივილის გამზიარებელი... ბოლოს უმძიმეს სენთან მოუწია გამკლავება, მაგრამ ვერ გაუძლო...

მწუხარე და თავზარდაცემულნი ვართ თანამშრომლები... დავტირით ჩვენს თამუნას, თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს, ახლობლებს... მის სამუშაო მაგიდაზე ყვავილები დევს ნიშნად მისი არდავიწყებისა და სანთელი ციმციმებს... ჩვენი გულწრფელი ცრემლი და ლოცვა მიეგებოს თამუნას სამოთხის კართან...

მეგობრები

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება თანამშრომლის

თამარ გიგაურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თანაკლასელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი, უღალატო, გულისხმიერი მეგობრის

თამუნა გიგაურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

12 მაისს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღეს აღნიშნავს

ცნობა ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობაზე პირველად ბერძნულ მწერლობაში ჩნდება IX საუკუნის მეორე ნახევარში და საქართველოშიც აქედანაა შემოსული X-XI საუკუნეებში. ამ წყაროზე დაყრდნობით, ქართულ ძეგლებში პირველი გარკვეული ინფორმაცია წმინდა ანდრიას საქართველოში მოღვაწეობის შესახებ გიორგი მთაწმინდელს (XI საუკუნის მეორე ნახევარი) მოეპოვება. იგი საქართველოს ეკლესიის დამფუძნებლად ანდრია მოციქულს თვლიდა და ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობის დროს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებას ამ ცნობაზე დაყრდნობით ამტკიცებდა.

წმინდა ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომ ეწოდა მას პირველწოდებული. ანდრია კაპერნაუმში ცხოვრობდა და გალილეის ტბაში თევზაობდა. მან სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი და როცა ისრაელში წმინდა იოანე ნათლისმცემლის ხმა ქუხილივით გაისმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მოწაფე გახდა. „აჰა, ტარიგი ღმრთისა“ — მაცხოვრის გამოჩენისას წმინდა იოანემ ანდრიას და იოანე ღვთისმეტყველს ამ სიტყვებით მიმართა, რის შემდეგაც ორივე მათგანი იესოს გაჰყვა. ანდრიამ მესიის პოვნა ძმასაც ახარა, იესოსთან მიიყვანა და მას დაუმოწაფა.

ძმები განუყრელად თან ახლდნენ ძე ღვთისას და მისი სასწაულების, სიკვდილისა და აღდგომის მოწმენიც გახდნენ.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ რადგან მისი მიცვალების ჟამი მოახლოებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატით.

კერპთაყვანისმცემელი მოსახლეობა წმინდანს დიდ წინააღმდეგობას უწევდა, არაერთი განსაცდელი დააატყდა თავს ურწმუნოთაგან, მაგრამ ღვთისა და პატიოსანი ხატის მეოხებით ყველაფერი მადლობით დაითმინა, „ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნოებად“, შემდეგ კი გზა განაგრძო: იყო კლარჯეთში, არტაანკოლაში, პართეთში, სომხეთში, შემდეგ კი იერუსალიმში წავიდა.

იერუსალიმის მოლოცვის შემდეგ წმინდა ანდრია სვიმონ კანანელსა და მატათასთან ერთად კვლავ საქართველოში დაბრუნდა და ქრისტიანობა ქართლში, სამეგრელო-სვანეთსა და აფხაზეთში იქადაგა.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღესთან ერთად 12 მაისი საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღე და ეროვნული დღესასწაულია. ამის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ და წმინდა სინოდმა 2018 წელს მიიღო.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღეა

მე–10 გვერდიდან

მეცნიერები გამოვალთო ჩვენ – ნიკოლოზმა და მარიამმა გამიმხილეს...

ლაშას ინჟინრობა უნდა, – როცა

ითვლებოდა ადრიდანვე... ძალიან მოვშინაურდით, ბევრი ვისაუბრეთ.

– ყველაზე მეტად, სულ ძალიან, რა გინდათ- მეთქი, – ვკითხე...

– უკრაინაში ომი დამთავრდეს!

– ახალგორში შევიდეთ!

ღმერთმა აუხდინოთ!

ახალგორში დავბრუნდებით გზები და ხიდები ააშენოს, გიორგის – იურისტობა, გამომძიებლობა მომწონსო, გამომხილა; თორნიკემ – მოჭიდავე გამოვალო, ქსნის ხეობელებისათვის ჭიდაობა ვაჟკაცობად

საიუბილეო კონცერტი წეროვანსა და ფრეზეთში

წეროვნისა და ფრეზეთის დევნილთა დასახლებებში, აშშ-ის საელჩოს ორგანიზებით, ჯაზ-ბენდის კონცერტი გაიმართა.

ღონისძიება აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30-ე წლისთავს მიეძღვნა.

კონცერტს, მოსახლეობასთან ერთად, საქართველოში ამერიკის ელჩის მოადგილე რაიან ჰარისი, მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძე და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი ესწრებოდნენ.